

**დაავადებებთან დაკავშირებული ერთი ტრადიციის შესახებ**  
(ხეცსურეთის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით)

დაავადება მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ამა თუ იმ ხალხის ისტორიაში, მისი კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარების პროცესში. მეორე მხრივ კი, თავად კულტურა გავლენას ახდენდა დაავადებაზე, მასთან დაკავშირებულ ტრადიციებზე, განაპირობებდა მათ თავისებურებებს. ყველგან და ყველა ეპოქაში აინტერესებდათ, რატომ ხდებოდა ავად მანაცადამანაც რომელიმე ადამიანი, ან რატომ მოედებოდა ზოგჯერ ავადმყოფობა ადამიანთა მთელ ჯგუფს. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა საკმაოდ რთული იყო და ამიტომ იქმნებოდა მითები სწეულებათა შესახებ, ყველა რელიგიურმა სისტემამ სწეულება - უარყოფითი მოვლენა, ბოროტების კატეგორიაში გააერთიანა და, როგორც სოციუმის წესრიგის დარღვევის მიზეზი, ანტისოციალურ ელემენტებს - ავსულებს მიაწერა. ეს წარმოდგენა უძველეს და უნივერსალურ წარმოდგენათა რიგს განეკუთვნება და, რა თქმა უნდა, საქართველოშიც დასტურდება.

დროთა განმავლობაში, წარმოდგენები დაავადებათა შესახებ მდიდრდებოდა და ყოველ კულტურაში გარკვეულ სპეციფიკას იძენდა. ძველი ცივილიზაციებიდან მოყოლებული ვიდრე დღემდე, დაავადებათა გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად სამყაროს კეთილი ძალებიც - ღმერთი, ღვთაებები, წმინდანებიც განიხილება. სჯეროდათ, რომ ადამიანის კეთილდღეობაზე ზრუნვასთან ერთად, ისინი მისი მსჯავრმდებლების მოვალეობასაც ასრულებენ. მათ მიერ დადებული მსჯავრი კი, უმეტესად სწეულებით გამოიხატებოდა. მაგ., გამოთქმულია აზრი, რომ ეგვიპტეში დაავადება, ისევე როგორც სხვა ცივილიზაციებში, ბოროტ ძალებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ახალი სამეფოს ხანაში მას შეურაცხყოფილი ღვთაებისგან მიღებული სასჯელის სტატუსიც მიენიჭა.<sup>1</sup>

ამგვარად, სწეულებამ შეიძინა სოციალური კონტროლის ფუნქცია და, რიგ შემთხვევაში, განიხილებოდა სანქციად, სასჯელად, რომელსაც ადამიანი იმსახურებდა მის მიერ ჩადენილი ამა თუ იმ დანაშაულის გამო. ასეთი წარმოდგენა საქართველოშიც ფართოდ იყო გავრცელებული.<sup>2</sup> დაავადების გამომწვევი მიზეზი განსაზღვრავდა მაგიურ-რელიგიური მკურნალობის ხასიათს. იმ შემთხვევაში, თუ მას ავსულებს უკავშირებდნენ, ტარდებოდა ეგზორციზმის რიტუალი, თუ განიხილავდნენ სალოცავის მიერ დადებულ მსჯავრად, ატარებდნენ ვედრების რიტუალებს.

<sup>1</sup> Assmann, *Confession in Ancient Egypt*, გვ. 2.

<sup>2</sup> მინდაძე, *ქართველი ხალხის ტრადიციული სამედიცინო კულტურა*, გვ. 146-148.

სნეულების მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა ქრისტიანულ ცივილიზაციაში. ქრისტიანული მსოფლმხედველობის მიხედვითაც, სნეულება ჩადენილი ცოდვის შედეგს წარმოადგენს, მაგრამ მან შეიძინა ახალი გააზრება, იგი განიხილება როგორც განსაცდელი, რომელიც ცოდვების გამო სულის განსაწმენდელად მოეწოდება ადამიანს. ამგვარად, სნეულებამ გამოცდის, სულიერი განწმენდის ფუნქცია შეიძინა და ავადმყოფი წყალობის, ქველმოქმედების ობიექტი გახდა. ამაზე მეტყველებს იესო ქრისტეს შემდეგი სიტყვები: „კარგად მყოფთ კი არ სჭირდებათ მკურნალი, არამედ ავადმყოფთ. თქვენ კი წადით, და ისწავლეთ რას ნიშნავს ეს: წყალობა მნებავს და არა მსხვერპლი; ვინაიდან მართალთა სახმობილად კი არ მოვსულვარ, არამედ ცოდვილთა სინანულად“ [მ. 9:13].

საინტერესოა, რა ადგილი ეკავა დაავადებას ქართველთა ტრადიციულ ყოფაში. ამ საკითხს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი კუთხის ხევსურეთის მაგალითზე განვიხილავთ. ხევსურები დაავადებას უმეტესწილად სალოცავს უკავშირებდნენ და იგი სალოცავის მიერ დადებულ სასჯელად მიაჩნდათ. ასეთი წარმოდგენის საფუძველზე ავადმყოფს *დამიზეზებულს*, *მიზეზიანსაც* უწოდებდნენ. ალ. ჭინჭარაულის განმარტებით, „მიზეზი, ხატის (სალოცავის - ნ. მ.) მიერ შეყრილი ავადმყოფობა, სნეულებაა“, მიზეზიანი კი „ხატისგან დაავადებულია“.<sup>1</sup> სალოცავი მის წინაშე ჩადენილი სხვადასხვა სახის დანაშაულისთვის ამიზეზებდა პიროვნებას. თ. ოჩიაური წერს: „იმ შემთხვევაში, თუ ყმა ღვთისშვილს რაიმე საქციელით შეურაცხყოფას მიაყენებდა, „ზღვენ-სამსახურს“ დააკლებდა, ნაკრძალ ადგილზე გაივლიდა („კვრივი“, ხატის ყანა, ხატის ტყე და სხვა), ხატის მამულით ან ტყით ისარგებლებდა და სხვა, „ხთიშვილი“ მას „მამიზეზებდა“, „ავად გახდიდა“.<sup>2</sup> სალოცავი თავის ტერიტორიაზე ვერც ჩხუბს, დაპირისპირებას იტანდა. მაგ., პირქუშის სალოცავში ორ ხევსურს უჩხუბია და ამის გამო პირქუშს ორივე დაუსჯია - ავად გაუხდია.<sup>3</sup>

დასჯის მიზეზს და დანაშაულის გამოსყიდვის საშუალებებს ადგენდა მკითხავი. ავადმყოფის პატრონი კი ცდილობდა სალოცავის გულის მოგებას: „ავადმყოფის პატრონი შეეცდებოდა ხთიშვილთ ყელი მოსტეხოს (მოალბოს) და შეუთქვამს (შეპირდება, ვალად დაიდებს) სახმთო-ლამისთევას, საკლავებს: ცხვარს ან კურატს; ჯვარის კარზე მეხვენურთ (მახვენურებს - ვინც ავადმყოფის მორჩენას შეეხვენებოდა ხატს) მოიყვანდა და არაფერს დაიშურებდა ავადმყოფის მორჩენისათვის“.<sup>4</sup> ვედრების ასეთ რიტუალს ხევსურეთში

<sup>1</sup> ჭინჭარაული, *ხევსურული ლექსიკონი*, გვ. 604.

<sup>2</sup> ოჩიაური, *ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან*, გვ. 16.

<sup>3</sup> ოჩიაური, *ბუდე-ხევსურეთი*, გვ. 190.

<sup>4</sup> ბალიაური, *მაკალათია, მიცვალებულის კულტი*, გვ. 4.

სამხვეწრო ენოდებოდა. სამხვეწროს რიტუალში ავადმყოფის საშველად იკვლებოდა საკლავი - *სამეშველო*. ავადმყოფის გადასარჩენად ალთქმასაც დადებდნენ, გარკვეული ვალდებულებების შესრულებას კისრულობდნენ.

ხევსურეთში ალთქმის დადების სხვადასხვა წესი დასტურდება. ს. მაკალათიას გადმოცემით, „სხვადასხვა სახის დაავადების დროს მთიელები ხატს რაიმე *შარნის* (შანა, ლითონის რაიმე ნივთი - ნ. მ.) ტარებას შეუთქვამდნენ. მას განსაზღვრულ დრომდე ატარებდნენ და შემდგომ ხატობას ხატს სწირავდნენ“.<sup>1</sup> იცოდნენ ასევე *ხატის უღლის* ტარება; *ჭდის ამოვდება*, ხის პატარა ჯოხზე ან შესანიერი საქონლის რქაზე ნაჭდევის გაკეთება, შეთქმულის შესრულების პირობად. ვ. ბარდაველიძის აზრით, წნელისა და რკინის *ხატის უღლების* ტარება, ხატის მონობის სიმბოლურ ასახვას და ალთქმის დადების უძველეს წესს წარმოადგენდა.<sup>2</sup>

ალთქმის დადების ერთ-ერთი ტრადიცია ე. წ. *ძენგლის დადება* იყო. „ძენგლი ანუ დანადები ყველა ჯვრებში (სალოცავებში - ნ. მ.) იცოდნენ. პირიქით ხევსურეთშიც და პირაქეთსაც. შატილშიც ედოთ ანატორის ჯვარის (მთავარანგელოზების სალოცავის - ნ. მ.) ძენგლი სხვადასხვა დანაშაულისათვის. ვინც ძენგლს ასრულებდა, ხალხის თქმით, ის კარგად ცხოვრობდა და საქმე კარგად მიუდიოდა, ვინც ძენგლი აღარ შეასრულა, მისი საქმე კი საბოლოოდ ცუდად ნავიდოდა. მაგ.: შატილში იყო ერთი ქვეგვარი გოგოთურნი. მათი მამის<sup>3</sup> ერთ-ერთ კაცს ტყუილად დაუფიცნია. ანატორის ჯვარი ამაზე გამწყრალა და დამფიცავი *სასიკვდილოდ ავად გაუხდია*. (ხაზი ჩემია - ნ. მ.) მკითხავს უთქვამს - ტყუილად დაგიფიცია და თუ ჯვართ არ დამადლე, აღარ მორჩებიო. ამ კაცს სამანანულო (მოსანანიებელი - ნ. მ.) ზღვნებიც დაუხოცია, ძენგლიც დაუდვია, საშვილიშვილოდ. ყოველწლიურად ათენგენას<sup>4</sup> კლავდნენ თურმე თითო კურეტს, ადულებდნენ სამი გვერდის ლუდს და იხდიდნენ ღამისთევა - ჟამისწირვას.<sup>5</sup> *ძენგლი* გადავიდა მის ჩამამავლობაზე და პირველ ხანებში თურმე კარგად ასრულებდნენ, ბოლოს უარი უთქვამთ და არ შეუსრულებიათ. ამაზე გამწყრალა ანატორის ჯვარი და ეს გვარი ძირფესვიანად ამოუწყვეტია. თუ სადმე ქალ-ქალიშვილი ყოფილა, ისინიც თურმე ბევრ ხეირს ვერ ხედავდნენ ცხოვრებაში“.<sup>6</sup>

<sup>1</sup> მაკალათია, *ხევსურეთი*, გვ. 223.

<sup>2</sup> ბარდაველიძე, *აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები*, გვ. 26.

<sup>3</sup> ერთი წინაპრიდან მომდინარე მოგვარეები. ჭინჭარაული, *ხევსურული ლექსიკონი*, 2005, გვ. 539.

<sup>4</sup> დღესასწაული, რომელიც ივლისის მეორე ნახევარში იმართება ხევსურეთის ხატებში. მოდის ათენოგენოს სებასტიელ ეპისკოპოსის სახელიდან. ჭინჭარაული, *ხევსურული ლექსიკონი*, გვ. 21.

<sup>5</sup> ჟამისწირვა - ლუდის კურთხევა ხატში, ჭინჭარაული, *ხევსურული ლექსიკონი*, გვ. 699.

<sup>6</sup> ოჩიაური, *ბუდე-ხევსურეთი*, გვ. 286.

*ძენგლს* განსაკუთრებულ შემთხვევაში *იდებდნენ*, მაგ., როდესაც „ავადმყოფს არაფერი ეშველებოდა, მაშინ მიმართავდა უდიდეს ღონისძიებას, უდიდესი საპატიო შესანიშნავი იყო ძენგლის დადება, ძენგლი იყო ისეთის აღთქმა ხვთიშვილისათვის, რომელიც ყოველწლიურად უნდა შეესრულებინა აღმთქმელს წელიწადში ერთ-ერთ დღეობას“.<sup>1</sup>

*ძენგლის დადება* მკითხავის ჩარევითაც ხდებოდა. ერთ კვირანმინდელ (კვირანმინდა სოფელი, ამჟამად ნასოფლარი ხევსურეთში, არხოტის თემში - ნ. მ.) კაცს სალოცავისთვის (არხოტის ჯვრისთვის) რალაც დაუშავებია, ამიტომ ავად გამხდარა, „სისხლს ანთხევდა“. მკითხავს მისთვის უთქვამს: „ძენგლი დაიდევით არხოტის ჯვარში, წელწადში (ახალ წელს - ნ. მ.) დასტურობა და საკუთრად ერთი ქვაბის დუღებაო“.<sup>2</sup> ასევე, მკითხავის რჩევით, დაუდვია ძენგლი არხოტელ ნაროზაულს, რომელსაც სალოცავის ტერიტორიაზე დევი მოუკლავს - „ჯვარში შეხიზნულის“ მოკვლას კი ხევსურული წესი სასტიკად კრძალავდა. ამჯერადაც ძენგლი სალოცავში სამსახურის ვალდებულების დაკისრებას გულისხმობდა, კერძოდ, „ქრისტეს (შობას - ნ. მ.) ღამისთვისა, ჟამის წირვის და დროშათ გამოყვანის ხარჯის განევას“.<sup>3</sup>

*ძენგლის დადებას* ფშავში *დანადები* ეწოდებოდა. სოფელ შუაფხოში იახსრის ხატის ხევისბერს გივი ფოცხვერაშვილს „ვინმე ბადრიშვილი“ სალუდე ქვაბის აწევასი დახმარებია, იახსარი გამწყრალა, „მკითხავის პირით შემოუთვალა: შენ რად მიეშველე ქვაბის წამოკიდებაში, შენ ვინა გკითხავდა, მე ჩემს ყმას ვცდიდიო“. ბადრიშვილი მას *ავადობით* დაუსჯია, ის ლოგინად ჩავარდნილა და კინალამ მომკვდარა. ამის გამო „ბადრიანებს დანადები აძეს წელიწადში ერთი საკლავი და ერთი კოდი ქერის ლუდი - შობა დღეს“.<sup>4</sup>

ალ. ჭინჭარაულის განმარტებით, „ესა თუ ის ოჯახი ან გვარი რაიმე დანაშაულის მოსანანიებლად ამა თუ იმ ხატს აღუთქვამდა, რომ ამა და ამ დღეობაში (დღესასწაულზე) ყოველ წელიწადს უთევდა ღამეს, დანათლავდა დროშათ, დაკლავდა საკლავს, ან მოხარშავდა ლუდს და მისთ. ძენგლი შთამომავლობაზე გადადიოდა. ამგვარად, ძენგლი ერთგვარი თვითგასამართლება იყო“.<sup>5</sup>

*ძენგლის დადება* უთუოდ მოგვაგონებს გიორგი ბრწყინვალეს კანონთა კრებულის სახელწოდებას - *ძეგლის დადებას*, რომელიც სპეციალურად მთიელთათვის იყო განკუთვნილი. ამ საკითხით დაინტერესებულან ენათმეცნიერები და ტერმინ ძეგლი//ძენგლის შესახებ კვლევა ჩაუტარებიათ. ძველ ქართულში ძეგლის//ძენგლის მნიშვნელობის ანალი-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 372.

<sup>2</sup> ოჩიაური, *არხოტის თემი*, გვ. 70.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 50.

<sup>4</sup> ოჩიაური, *ფშავი*, გვ. 52.

<sup>5</sup> ჭინჭარაული, *ხევსურული ლექსიკონი*, გვ. 1053.

ზის შედეგად ი. ქეშიკაშვილის დასკვნა ასეთია: „მთის დიალექტების ენობრივი მასალით აშკარა ხდება, რომ ძეგლიც და დანადებიც ხელოვნურად შექმნილი ტერმინები კი არ არის, არამედ საერთო სახალხო ენის კუთვნილებაა, მთის კილოთა მიერ დღემდე დაუნჯებული“.<sup>1</sup> ი. ქეშიკაშვილი *ქეზ-გლსაც და დანადებსაც* ძველი ქართული ენიდან მთის დიალექტებში შემორჩენილ სიტყვებად თვლის.

განსხვავებული აზრი გამოთქვა ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანმა. იგი დასაშვებად მიიჩნევს ი. ქეშიკაშვილის მოსაზრებას, მაგრამ, ამავე დროს, არ გამორიცხავს, რომ „ტერმინი ძეგლი-დება// ძეგლისდება გიორგი ბრწყინვალემ (მისმა დარბაზმა) სწორედ ამავე (მთის - ნ. მ.) დიალექტური არეალიდან აღებული ხალხური ტერმინოლოგიის მიხედვით შექმნა და სათანადო მიზნით გამოიყენა“.<sup>2</sup> იგი ასკვნის, რომ: „სიტყვა ძეგლი დავიწყებას არ მისცემია და ქართულში არაერთი მნიშვნელობით დასტურდება, ხოლო როგორც გარკვეული იურიდიული შინაარსის ტერმინი (ვალდებულება) შემორჩა ხალხურ ადათ-წესებს“.<sup>3</sup>

ენათმეცნიერთა მიერ გამოთქმული ორივე მოსაზრება დასაბუთებული და მისაღებია, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ი. ქეშიკაშვილის დასკვნა უფრო ახლოა მთაში არსებულ ვითარებასთან. უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავ, რომ სიტყვა ძეგლი, ქანდაკების თუ ნაგებობის მნიშვნელობით, ხევსურულ დიალექტში ნაკლებად გვხვდება, ხოლო როგორც იურიდიული ტერმინი, ძირითადად ჩვენ მიერ ზემოაღწერილი ტრადიციის სახელწოდებად დასტურდება. ის კი ფაქტია, რომ ხევსურეთმა არაერთი ძველი ქართული ტერმინი თუ გამოთქმა შემოინახა.

ზ. კიკნაძემ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სალოცავების რელიგიური სისტემის ქრისტიანული სუბსტრატის კვლევის შედეგად, დაასკვნა: „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საზოგადოებებში (ხევსურეთში, ფშავში, გუდამაყარში, მთიულეთში, ხევში, თუშეთში) მეტ-ნაკლებად შემონახული ზეპირი საკულტო ტექსტები, რომლებიც დღემდე სხვადასხვა რელიგიურ დღესასწაულებზე წარმოითქმის კულტის მსახურების მიერ, ისევე როგორც კულტის მსახურთა სახელწოდებანი (ხუცესი, დეკანოზი) და რიტუალური ტერმინები (სეფე, სეფისკვერი, ტრაპეზ-სასუფეველი, ბარძიმი, ჟამისწირვა, ლიტანიობა...) ძირითადად ქრისტიანული წარმოშობისაა“.<sup>4</sup> ალბათ, ამ ტერმინებთან ერთად, უნდა განვიხილოთ: *საოცრის მყენე ანგელოზი*, რომელიც ხევსურულ დიალექტში, ისევე როგორც ძველ ქართულში, წინაგრძნობის, მოჩვენებებისა და სიზმრების

<sup>1</sup> ქეშიკაშვილი, *ძეგლის გავრცელების არეალისა და მნიშვნელობისათვის*, გვ. 86.

<sup>2</sup> ხოჭოლავა-მაჭავარიანი, *საისტორიო წყაროებში დადასტურებული იურიდიული ტერმინებისათვის*, გვ. 276.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 273.

<sup>4</sup> კიკნაძე, *ჯვარ-ხატების რელიგიური სისტემის ქრისტიანული სუბსტრატი*, გვ. 252.

გამგებელ ანგელოზს აღნიშნავდა. *საუცარი, საოცარი*, სიზმრის, ხილვის, მოჩვენების აღმნიშველი ტერმინი<sup>1</sup> და თვით სიტყვა ანგელოზი, რომელიც, „ვითარცა ქრისტიანობასთან ერთად ქართულში შეთვისებული ბერძნული სიტყვა, წარმართობის ხანის სარწმუნოებრივს ლოცვა-ვედრებასა და თქმულება-ლექსებში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ყოფილიყო“.<sup>2</sup>

ამ საკითხთან დაკავშირებით, მეტად მნიშვნელოვანია ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს ვ. ბარდაველიძის მიერ გამოთქმული აზრი: „ხევსურულ კურთხევათა ტექსტებს ამკარად ატყვია ქრისტიანული რელიგიის ბეჭედი. ისინი უნდა წარმოადგენდნენ დროთა ვითარების გამო, ხევსურეთში ზეპირ გადმოცემებით შერყვნილ ქრისტიანულ ტექსტებს. მათთვის სათანადო დედნის მიკვლევა თუმცაღა ძნელია, მაგრამ შეუძლებელი არ არის, ამგვარი მუშაობა ძველ ჟამნებსა და კურთხევანებზე დაწყებულია. მუშაობის დამთავრების შემდეგ, ამ სახის სალოცავები გამოქვეყნდება სათანადო შესაძარებელი მასალით და აღდგენილი ტექსტების მიხედვით“.<sup>3</sup> მაგრამ დაწყებული სამუშაოს შედეგები არ გამოქვეყნდა, ალბათ იმდროინდელი ვითარების გამო. როდესაც საბჭოთა საქართველოში რელიგიას, ძირითადად კი ქრისტიანობას, „მებრძოლ უღმერთოთა კავშირები“ ებრძოდა, ქრისტიანობაზე ობიექტურად წერა, მთიანი რეგიონების რელიგიურ სისტემებთან მიმართებაში, ალბათ შეუძლებელი იყო. ვ. ბარდაველიძის სიტყვები კი, მომავალში ასეთი კვლევის აუცილებლობაზე მეტყველებდა.

*ძენგლის დადების* ტრადიციაც შეიძლება ქრისტიანულ მრწამსთან მიმართებაში განვიხლოთ.

*ძენგლის დადების* ერთ-ერთ მიზეზად ხევსურეთში ცრუ ფიცი ითვლებოდა. ქართული საეკლესიო სამართლის მიხედვით, ცრუ ფიცი ისეთ ცოდვათა შორის მოიხსენიება, როგორცაა: *მტერობანი, შურნი, სიძულვილნი, კაცის კვლანი, მრუშობანი და კერპთმსახურებაი*.<sup>4</sup> *ტყუილზე დაფიცება*, ღვთის რისხვას იწვევდა<sup>5</sup> და დამფიცებელი მძიმე სასჯელს იმსახურებდა: „ცრუდ მფიცავი ათ წელ უზიარებელ იყოს“,<sup>6</sup> აღნიშნულია *მცირე სჯულისკანონში*.

ხევსურეთში *ძენგლის დადებით* ისჯებოდა ადამიანი სიამაყის გამოც, რადგან ის მას დანაშაულისკენ უბიძგებდა. ასეთი ძენგლი არდოტში ედო

<sup>1</sup> მინდაძე, *ქადაგობის საკითხისათვის*, გვ. 178-179.

<sup>2</sup> ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორიის შესავალი*, გვ. 171.

<sup>3</sup> ბარდაველიძე, *აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების სასულიერო ტექსტები*, გვ. 5.

<sup>4</sup> *ძეგლისწერაი რუის-ურბნისის კრებისაი*, გვ. 121.

<sup>5</sup> *სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა*, გვ. 542.

<sup>6</sup> *მცირე სჯულისკანონი*, გვ. 81. ცრუ ფიცის შესახებ იხ. გუჯეჯიანი, *ქართული ჩვეულებითი სამართალი*, გვ. 136; დავითაშვილი, *სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ძველ ქართულ სამართალში*, გვ. 56.

ბაჩის გვარს - „ბაჩი ყოფილა ამაყი კაცი. ის არ ემორჩილებოდა არც ხალხს და არც ხატს, არც ღმერთს. აქ დასტურისთვის (პირი, რომელიც სალოცავს ემსახურება) ხმამალალი დალაპარაკებაც აკრძალული იყო, მაგრამ ბაჩიმ დასტურს დაჰკრა ხანჯალი ჯვარში და დაჭრა. მასზე თურმე განყრა სომხოს გიორგი (სალოცავი სოფელ არდოტში - ნ. მ.) და ბევრი საკლავებით, დიდი თხოვნით გიორგიმ ცოტა მოიბრუნა გული, მაშინ იმ ოჯახისთვის სასიკვდილო ზიანი არ მიუყენებია მხოლოდ მათ ძენგლი კი დაიდევს“.<sup>1</sup>

სიამაყე გამხდარა მიზეზი ამღელი (ამლა - სოფელი არხოტის თემში) ბაბუა ნიკლაურის დასჯისა. იგი დაუჭრიათ, ჭრილობა გართულებულა. „მკითხავს უთქვამს: თავის სალოცავის მიზეზით ურთულდება ჭრილობა. [...] თავის სალოცავის გარდა სასოფლო ჯვარიც გამწყრალიაო. იმიტომ რომ ამაყი იყოო. არც სოფელს ეპუებოდა (არ ერიდებოდა, არ ხათრობდა) და არც ჯვარსო. ბოლოს მკითხავს უთქვამს, რომ ამლის ჯვარი (სოფლის) თხოულობს თქვენგან, სამღირალო (ღირსეულ), ზღვენსო (საკლავს)“.<sup>2</sup>

ანზორ ქალდანის დაკვირვებით, საქართველოს მთაში ამაყი ადამიანები „იმით გამოირჩევიან კოლექტივში, რომ ფლობენ განსაკუთრებულ თვისებებს, ძალას და ძალაუფლებისკენ სწრაფვის სურვილს“.<sup>3</sup> იმავდროულად მთიელთათვის არ იყო სასურველი ასეთი პიროვნებების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება - „მთიელთა ძირითადი მასა საერთო ძალით ცდილობდა საფუძველშივე აღეკვეთა ფეოდალური არისტოკრატის ჩასახვის მცდელობაც კი, რაც სათანადოდაა ასახული ტრადიციულ სოციო-ნორმატივებში. ამაზევე მიგვანიშნებს გაბატონების მოსურნე ოჯახების საძირკვლამდე დანგრეული საცხოვრებლები“.<sup>4</sup>

ამგვარად, პიროვნებებისადმი, რომლებიც არღვევდნენ მთიელთა ტრადიციულ სოციალურ სისტემას, არ ეპუებოდნენ „არც ხალხს და არც ხატს, არც ღმერთს“, ადგილობრივი მოსახლეობა უარყოფითად იყო განწყობილი. სიამაყის გამო, მათ შემცოდეთ მიიჩნევდნენ და სჯეროდათ, რომ ისინი ღვთიურ სასჯელს იმსახურებდნენ. ჩვენ მიერ ზემოაღწერილ შემთხვევებში ეს სასჯელი დაავადება, ჭრილობის გართულება იყო.

ყურადსაღებია, რომ ალ. ოჩიაურის ერთ-ერთი ჩანაწერის მიხედვით, სასჯელის მოხდა ხევსურების სალოცავებში, ისევე როგორც ეკლესიაში, ცოდვის გამოსყიდვა, მონანიებით იწყება, მაგრამ თუ ქრისტიანული მრწამსით, მონანიება ცოდვის გაცნობიერებას და ამ ცოდვის აღიარებას, აღსარებას გულისხმობს, ხევსურეთში მონანიება სისხლიანი მსხვერპლშენი-

<sup>1</sup> ოჩიაური, *ბუდე-ხევსურეთი*, გვ. 372.

<sup>2</sup> ბალიაური, *ხალხური მედიცინა*, გვ. 241.

<sup>3</sup> ქალდანი, *ცენტრალური კავკასიონის მთიელთა კომპლური კულტურა*, გვ. 180.

<sup>4</sup> იქვე.

ვით - „ზღვნების დახოცვით“ ხდება. სამანანურობა, ალ. ჭინჭარაულის განმარტებით, „მანანურისთვის ძღვენის შეწირვის ცერემონიალია“;<sup>1</sup> მანანური, კი „დანაშაულისა თუ ცოდვის შემნდობი: უშვილოთათვის შვილის მიმცემი ანგელოზია“.<sup>2</sup>

სწორედ ამიტომ, თუ ხევსურს შვილი (ბიჭი) არ უჩნდებოდა, იგი *სამანან-ნულო* საკლავს კლავდა, რისთვისაც *მანანურისთვის* მსხვერპლის შესანიშნავად სპეციალური *სამანანურო* ადგილი ყოფილა გამოყოფილი.

მონანულის ხელშემწყობად ქრისტიანულ რელიგიაში ურიელ მთავარ-ანგელოზი ითვლება. არ არის გამორიცხული, რომ დანაშაულის გამოსყიდვის რიტუალში მონანიების ჩართვა ქრისტიანული რელიგიის გავლენა იყოს, მაგრამ „ზღვნების დახოცვა“ ქრისტიანულ მრწამსს არ შეესაბამება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მონანიება ხევსურეთში ყოველთვის არ გულისხმობდა მსხვერპლშენივას. ალ. ოჩიაურს აღწერილი აქვს ერთი ასეთი შემთხვევა - სანების ჯვარის (სალოცავი პირაქეთ ხევსურეთში - ნ. მ.) ტყეში სოფლის საქონელი შესულა და ზარალი მიუყენებია. იმისთვის, რომ სალოცავს ეს ეპატიებინა, მიუტანიათ „სამანანულო (ე. ი. ნანობენ დანაშაულს, ენანებათ)“, განმარტავს ალ. ოჩიაური, თან წაუღიათ „სანთელ-სადიდებელი“ და უთხოვიათ სალოცავისთვის „შენ აპატივი, შანაცოდვარი კაცი თაცად საქონითაც“-ო.<sup>3</sup>

ზურაბ კიკნაძე, თავის ნაშრომში, როდესაც პაგანიზმსა და პაგანიზაცი-აზე მსჯელობს, წერს: „პაგანიზმის გამოვლენაა საქართველოს ბევრ კუთხეში გავრცელებული რიტუალი საღმრთოს (საღვთო, სახვთო) სახელწოდებით, როდესაც ცალკეული ადამიანი, ოჯახი ან მთელი საგვარეულო შეუთქვამს ამა თუ იმ წმინდანს საკლავს, ხარი იქნება თუ ცხვარი, ან მამალი, რომელთაც შეწირვამდე ეკლესიას შემოატარებენ. სამაგიეროდ წმინდანისგან პრინციპით *do ut des* სამაგიეროს მოვლიან. ეს ყოფითი ფრაგმენტი წმინდა წყლის პაგანიზმია, მაგრამ სოფლის ცნობიერებაში იგი სავსებით უთავსდება ქრისტიანობას, რამდენადაც სისხლიანი მსხვერპლის შეწირვის რიტუალი, რომელიც ქრისტიანულმა ეკლესიამ გააუქმა, ეკლესიის გაღავანში ხდება. თუმცა ბოლომდე ვერ გამოვრიცხავთ ქრისტიანულ მომენტს ამ ჩვეულებიდან. მსხვერპლი არ იწირება ცოდვის გამოსასყიდად, ანუ მას სოტერიოლოგიური ფუნქცია არ აკისრია, არამედ სამადლობელია, რომელიც წინასწარ ან *Post factum* შეიწირება. ქრისტიანობამ გააუქმა სისხლიანი მსხვერპლი, როგორც რიტუალი, მაგრამ პირუტყვის დაკვლას ლეგიტიმაცია დაუნესა“.<sup>4</sup>

<sup>1</sup> ჭინჭარაული, *ხევსურული ლექსიკონი*, გვ. 748.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 545.

<sup>3</sup> ოჩიაური, *ბუდე-ხევსურეთი*, გვ. 64.

<sup>4</sup> კიკნაძე, *ჯვარ-ხატების რელიგიური სისტემის ქრისტიანული სუბსტრატი*, გვ. 239.



*ძენგლის დადების* დროს რამდენადმე განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე - ამ შემთხვევაშიც საკლავის დაკვლა ლეგიტიმირებული, დაშვებულია, რადგან იგი კურთხეულია ხუცესის მიერ, მაგრამ იგი სამადლობელი კი არ არის, არამედ ვალდებულებაა, რომელიც სალოცავს ეწირება ცოდვის გამოსყიდვის მიზნით. ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება. ალ. ოჩიაურის გადმოცემით, „დატიობაში (დღეობა ათენგენობა სოფელ არდოტში - ნ.მ.). ერთ ჩხუტ ლუდს ამზადებდნენ, ერთ საკლავს მიიყვანდნენ და დაკლავდნენ გიორგის სახელზე. ლუდს ხალხს დააღვინებდნენ, ხორცის ტაბლას დადგამდნენ და აჭმევდნენ პურს დასტურ-ხელოსნებს და მერე ხალხსაც“.<sup>1</sup> შესაძლებელია, რომ, ამ შემთხვევაში, საკლავის დაკვლა, მსხვერპლის შეწირვა წყალობის გაღების მიზნით ხდებოდა. ამაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტიც - „თუ ხატის მეძღვნეს საკლავი ხატში აღთქმით მიჰყავს, მის დამწყალობნების შემდეგ, ხუცესი დაკლავს და მეძღვნეს ამ საკლავის წაღება არ შეუძლია. დასტური საკლავს იქვე ტოვებს, შემდეგ ხორცს მოხარშავენ, ჯვარის კარზე სუფრას დადგამენ და ამით ხატში მეძღვნესა და სტუმრებს უმასპინძლებიან“.<sup>2</sup> აქ ხაზგასმულია, რომ შესაწირავი საკლავი მთლიანად რჩება სალოცავში (სხვა შემთხვევაში, მეძღვნეს ნაწილი მიაქვს სახლში) და უმასპინძლებიან ხალხს.

*ძენგლის დადების* ტრადიციას თუ განვიხილავთ მისი შემადგენელი ელემენტების მიხედვით, ასეთ სურათს მივიღებთ: 1. დანაშაულის ჩადენის გამო ირღვევა ურთიერთობა სალოცავსა და პიროვნებას შორის. 2. დანაშაულად განიხილება: ა) ცრუ ფიცი, ბ) სიამაყე, გ) სალოცავის ნესებისადმი დაუმორჩილებლობა (სალოცავის ტერიტორიაზე, მისი ნების გარეშე მოქმედება, თუნდაც კეთილი განზრახვით). 3. სალოცავის მიერ დადებული სასჯელი უმეტესწილად დაავადებაა. 4. დანაშაულის გამოსასყიდა სალოცავში შესასრულებელი გარკვეული ვალდებულება - ძენგლი, რომელსაც, ერთ შემთხვევაში, სალოცავი ადებს დამნაშავეს და ამას აუწყებს მკითხავის პირით, მეორე შემთხვევაში, თავად დამნაშავე დებს აღთქმას, თავად იღებს ვალდებულებას, იღებს *ძენგლს*. 5. ძენგლი გულისხმობს სალოცავის რომელიმე დღესასწაულზე საკლავის დაკვლას, ლუდის მოხარშვას, ყოველწლიურად რაიმე სამსახურის განწევას დამნაშავეს და მისი შთამომავლობის მიერ. 6. ვალდებულების შეუსრულებლობის, ძენგლის შეწყვეტის გამო სალოცავის მიერ დამნაშავეს გვარი სასტიკად ისჯება - ძირფესვიანად ამოწყდება. ამგვარად, დაავადებასთან დაკავშირებულ სხვა რიტუალებისგან განსხვავებით, ძენგლის დადება არის უპირობო აღთქმა, რომელიც აუცილებლად უნდა შესრულდეს.

ვფიქრობთ ძენგლის დადების ტრადიციაში ჩანს ქრისტიანული რელიგიის გავლენის კვალი.

<sup>1</sup> ოჩიაური, *ბუდე-ხევსურეთი*, გვ. 372.

<sup>2</sup> მაკალათია, *ხევსურეთი*, გვ. 256.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო რელიგია - ქრისტიანობა ცდილობდა ადამიანი ქრისტიანული ზნეობრივი ნორმების ფარგლებში მოექცია. ქართველი ხალხის ძირითადი ზნეობრივი შეხედულება კი, სახარებაზე იყო დამყარებული.<sup>1</sup> მაგრამ ამის განხორციელება სახელმწიფოს გასაკუთრებით უჭირდა მთაში, რომლის კონტროლს იგი ხშირად ვერ ახერხებდა, რისთვისაც მას ზოგჯერ უხეში ჩარევა სჭირდებოდა. გავისხენოთ ფხოვის გაქრისტიანების მცდელობა IV საუკუნეში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების აჯანყების ჩახშობა თამარ მეფის დროს და სხვა. მაგრამ მხოლოდ ასეთი ღონისძიებები არ იყო საკმარისი, „მემამოხე ფხოველების დასამორჩილებლად არ კმაროდა მხოლოდ სამხედრო ძალაზე დამყარება, მძევლებისა და ხარჯის აღება, საჭირო იყო ამასთანავე მათი სარწმუნოებრივ-იდეოლოგიური შემომტკიცება“.<sup>2</sup> ფხოველთა და დიდოელთა აჯანყების შემდეგ როგორც მემამოხე გვაუწყებს, „არა ოდენ ქუეყანა იავარსა განადიდებდა თამარ, არამედ სარწმუნოება განმტკიცებოდა“.<sup>3</sup> ასე ხდებოდა არა მხოლოდ თამარის დროს. სარწმუნოების განმტკიცების მცდელობას ასახავს ის ფაქტი, რომ: „ხევსურეთის ტერიტორიაზე აღრიცხულია ორ ათეულამდე ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ნაშთი, რომელთაგან ერთ-ერთი, ანატორის ნაეკლესიარი, IX-X სს-ით არის დათარიღებული“.<sup>4</sup>

ქრისტიანული დოგმებისა და ზნეობრივი ნორმების დამკვიდრებას ცდილობდა სახელმწიფო და ეკლესია ყოველთვის, როდესაც ამისი შესაძლებლობა ეძლეოდა. მონღოლთა დაპყრობების შემდეგ, „ცენტრალური ხელისუფლების შესუსტებამ, ბუნებრივია, მთის მოსახლეობაში შეარყია ეკლესიის გავლენა, ხოლო სახელმწიფოებრივი წესრიგის აღდგენა მთაში დასრულებულად ვერ ჩაითვლებოდა, თუ ეკლესიის საქმე მოგვარებული არ იქნებოდა. მთაში ძველებურად აღარ ასრულებდნენ ქრისტიანულ წესჩვეულებებს (მარხვას, ზიარებას...)“.<sup>5</sup> ამიტომ „კანონმდებლობის (იგულისხმება ძეგლის დადება - ნ. მ.) შესავალში შეტანილი დადგენილებით, მთაში ყოველგვარი ‚სასჯულო საქმე‘ და სარწმუნოებრივი დარღვევები კათოლიკოსსა და ადგილზე დადგენილ ეპისკოპოსებს უნდა განესაჯათ“.<sup>6</sup>

კათოლიკოსების და ეპისკოპოსების მცდელობამ ალბათ მოახერხა ქართველ მთიელებში ქრისტიანული იდენტობის დამკვიდრება, რაც იყო საფუძველი იმისა, რომ ხევსურები „ქრისტიანობის სახელით ებრძოდნენ სხვა სარწმუნოების გავლენას და ‚ურჯულოს‘, როგორც თვითონ ამბობენ, ფეხი არ მოაკიდებინეს ხევსურეთში მაჰმადიანობას“,<sup>7</sup> მაშინაც კი, როდესაც

<sup>1</sup> ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, გვ. 28.

<sup>2</sup> მაკალათია, ხევსურეთი, გვ. 17.

<sup>3</sup> ბასილი ეზოსმოძღუარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 129.

<sup>4</sup> გოგოჭური, ხევსურეთის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 76.

<sup>5</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 634.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწარები, გვ. 67.

ისლამის შემოტევა საკმაოდ ძლიერი იყო და ისლამიზაციას ვერ გადაურჩნენ ჩრდილო კავკასიის ხალხები. მიუხედავად ამისა, საქართველოს მთიანეთის საკითხი მაინც პრობლემური რჩებოდა. ქართულმა სახელმწიფომ მხოლოდ ნაწილობრივ მოახერხა ქრისტიანული სულიერების დამკვიდრება მთიანეთის, და ალბათ არა მხოლოდ მთიანეთის მოსახლეობაში. ხევსურეთში ამის ერთ-ერთ მაგალითს *ძენგლის დადების* ტრადიცია წარმოადგენს. ამ ვარაუდის გამოთქმის უფლებას გვაძლევს შემდეგი: *ძენგლის დადება* ახლოს დგას ქრისტიანულ აღთქმის დადებასთან, რომელიც ღმერთისადმი მიცემული *მტკიცე* და იმავდროულად *თავისუფალი* დაპირებაა და რომელიც სიკეთეს უნდა ემსახურებოდეს - *ძენგლის დადებაც* დამნაშავეს მიერ თავისუფალი არჩევანის გაკეთებას გულისხმობს. სალოცავის მიერ დასჯილი პირი, იმ შემთხვევაში, როდესაც მას მკითხავი არ განუსაზღვრავს სასჯელის სახეს, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე დებს აღთქმას, ე. ი. აცნობიერებს თავის დანაშაულს, თავადვე გამოაქვს საკუთარი თავისათვის განაჩენი და თავადვე განსაზღვრავს ვალდებულებას, რომელიც უნდა შეასრულოს სასჯელის მოხდის მიზნით. ვალდებულება, ძირითადად სიკეთის ქმნას გულისხმობს. ეს არის სალოცავის სამსახური და მსხვერპლშენიერვა წყალობის გაღების მიზნით, რაც მკრთალად მაგრამ მაინც იკვეთება სასჯელის მოხდის რიტუალში (აღთქმის დამდები მსხვერპლად შეწირული საკლავიდან წილს არ ითხოვს, რომელიც სხვა შემთხვევაში მას ყოველთვის ერგება). *ძენგლის დადება*, როგორც ზემოთ ითქვა, *თვითგასამართლება*ა. საყურადღებოა ერთი გარემოება. ძველ ქართულში სიტყვა ძეგლს//ძენგლს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა და განაჩენს, ვალდებულებასაც აღნიშნავდა.<sup>1</sup> ქრისტიანული რელიგიის გავლენად უნდა ჩაითვალოს ალბათ, ძენგლის დადების ტრადიციაში სინანულის საიდუმლოს, მონანიების გათვალისწინება, მიუხედავად მისი აღსრულების სრულიად სხვა წესისა და სიამაყის, ერთ-ერთი მომაკვდინებელი ცოდვის, დანაშაულად აღქმა ადგილობრივ რელიგიურ სისტემაში.

იმავდროულად *ძენგლის დადება* მოიცავს ქრისტიანობისთვის მიუღებელ ქმედებებსაც: სისხლიან მსხვერპლშენიერვას, მათ შორის მონანიების მიზნით, მკითხავის ჩარევას სასჯელის ფორმის დადგენასა და დანაშაულის გამოსყიდვის საშუალების განსაზღვრაში და სხვა. ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ *ძენგლის დადების* ტრადიციაში ასახულია ოფიციალური სახელმწიფო რელიგიის - ქრისტიანობის ზნეობრივი ნორმების დამკვიდრების მცდელობა ტრადიციულ საზოგადოებაში და აღნიშნული ნორმების შერწყმა, მათი მორგება ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ტრადიციულ წესთან.

და ბოლოს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაავადებათა გარკვეულ ნაწილს ხევსურები სალოცავის წყრომის შედეგად მიიჩნევდნენ. ასეთი წარ-

---

<sup>1</sup> ხოჭოლავა-მაჭავარიანი, *საისტორიო წყაროებში*, გვ. 267-268.

მოდგენა არც თუ იშვითად რეალურად ხდებოდა დაავადების მიზეზი. პიროვნებას, რომელიც არღვევდა ადგილობრივ რელიგიურ წესებს თუ ზნეობრივ ნორმებს, ხშირად დამნაშავის, ცოდვილის განცდა ეუფლებოდა, რაც უარყოფითად მოქმედებდა მის ფსიქიკაზე და იგი რეალურად ავად ხდებოდა. ამ შემთხვევაში *ძენგლის დადება*, თვითგასამართლება, თავის თავისთვის განაჩენის გამოტანა და ალტყმით დაკისრებული ვალდებულების შესრულება, მონანიება, ცოდვისგან გათავისუფლების შეგრძნება, ავადმყოფის ფსიქიკაზე უთუოდ დადებითად მოქმედებდა და მის გამოჯანმრთელებას უწყობდა ხელს.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა**

- ბალიაური, ხალხური მედიცინა** - ბალიაური მ., *ხალხური მედიცინა ხევსურეთში*, 1946, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, მ. ბ. ბ. 1/21.
- ბალიაური, მაკალათია, მიცვალებულის კულტი** - ბალიაური მ., მაკალათია ნ., *მიცვალებულის კულტი ხევსურეთში, მიცვალებულის კულტი არხოტის თემში*, კრ. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, 1940, 3, გვ. 4-64.
- ბარდაველიძე, სასულიერო ტექსტები** - ბარდაველიძე ვ., *აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები*, კრ. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, 1938, 1.
- ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები** - ბარდაველიძე ვ., *აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები*, ტ. 1, ფშავი, თბილისი, 1974.
- ბასილი ეზოსმოდღუარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი** - ბასილი ეზოსმოდღუარი, *ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი*, წიგნში: *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 115-150.
- გოგოჭური, ხევსურეთის არქეოლოგიური ძეგლები** - გოგოჭური გ., *ხევსურეთის არქეოლოგიური ძეგლები და მათი შესწავლის პერსპექტივები*, კრ. „ხევსურეთი“, თბილისი, 2015, გვ. 54-83.
- გუჯეჯიანი, ქართული ჩვეულებითი სამართალი** - გუჯეჯიანი რ., *ქართული ჩვეულებითი სამართალი ევროპული ღირებულებების კონტექსტში*, საერთაშორისო ინტერდისციპლინარული კონფერენცია: „ევროპული ღირებულებები და იდენტობა“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014, მოხსენებები, გვ. 130-148.

- დავითაშვილი, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ძველ ქართულ სამართალში** - დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ძველ ქართულ სამართალში, თბილისი, 2007.
- კიკნაძე, ჯვარ-ხატების რელიგიური სისტემის ქრისტიანული სუბსტრაქტი** - კიკნაძე ზ., ჯვარ-ხატების რელიგიური სისტემის ქრისტიანული სუბსტრაქტი, წიგნში: მისივე, ქართული მითოლოგია, I, ჯვარი და საყმო, თბილისი, 2016, გვ. 237-255.
- მაკალათია, ხევსურეთი** - მაკალათია ს., ხევსურეთი, თბილისი, 1935.
- მინდაძე, ქადაგობის საკითხისათვის** - მინდაძე ნ., ქადაგობის საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კრ. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, 1987, 23, გვ. 174-180.
- მინდაძე, ქართველი ხალხის ტრადიციული სამედიცინო კულტურა** - მინდაძე ნ., ქართველი ხალხის ტრადიციული სამედიცინო კულტურა, თბილისი, 2013.
- მცირე სჯულისკანონი** - მცირე სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადა ე. გიუნაშვილმა, თბილისი, 1973.
- საქართველოს ისტორიის ნარკვევები**, ტ. III - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბილისი, 1979.
- ოჩიაური, არხოტის თემი** - ოჩიაური ა., ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი (არხოტის თემი), თბილისი, 1988.
- ოჩიაური, ბუდე-ხევსურეთი** - ოჩიაური ა., ქართულ ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი, II (ბუდე-ხევსურეთი, შატილი, მიღმახევი), თბილისი, 2005.
- ოჩიაური, ფშავი** - ოჩიაური ა., ქართული ხალხური დღესასწაულები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავი), თბილისი, 1991.
- ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან** - ოჩიაური თ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბილისი, 1954.
- სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა** - სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, წიგნში: ქართული სამართლის ძეგლები, I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1963, გვ. 475-552.
- ქალდანი, ცენტრალური კავკასიონის მთიელთა კომპლური კულტურა** - ქალდანი ა., ცენტრალური კავკასიონის მთიელთა კომპლური კულტურა, თბილისი, 1990.
- ქეშიკაშვილი, ძეგლის გავრცელების არეალისა და მნიშვნელობისათვის** - ქეშიკაშვილი ი., ძეგლის გავრცელების არეალისა და მნიშვნელობისათვის, „ტერმინოლოგიური ძიებანი“, თბილისი, 1991, გვ. 80-86.
- ძეგლისწერა რუის-ურბნისის კრებისა** - ძეგლისწერა რუის-ურბნისის კრებისა, წიგნში: ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო და საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ თბილისი, 1970, გვ. 105-126.

- ჭინჭარაული, *ხევსურული ლექსიკონი* - ჭინჭარაული ა., *ხევსურული ლექსიკონი*, თბილისი, 2005.
- ხიზანაშვილი, *ეთნოგრაფიული ნაწარები* - ხიზანაშვილი ნ., *ეთნოგრაფიული ნაწარები*, თბილისი, 1940.
- ხოჭოლავა-მაჭავარიანი, *საისტორიო წყაროებში დადასტურებული იურიდიული ტერმინებისათვის* - ხოჭოლავა-მაჭავარიანი ნ., *საისტორიო წყაროებში დადასტურებული ერთი რიგის იურიდიული ტერმინებისათვის (ძეგლი, ძეგლისწერა, ძეგლი-განაჩენი, ძეგლთდება)*, კრ. „ქართული ტერმინოლოგიის საკითხები“, III, თბილისი, 2017, გვ. 267-278.
- ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორიის შესავალი* - ჯავახიშვილი ი., *ქართველი ერის ისტორიის შესავალი*, წიგნი I, *საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები*, თბილისი, 1950.
- ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია* - ჯავახიშვილი ი., *ქართული სამართლის ისტორია*, წიგნი მეორე, წიგნში: მისივე, *თხზულე-ბანი თორმეტ ტომად*, ტ. VII, თბილისი, 1984.
- Assmann, *Confession in Ancient Egypt* - Assmann J., *Confession in Ancient Egypt*, „Ritual and Ethics. Patterns of Repentance. Judaism, Christianity, Islam. Second International Conference of Mediterranean“, Ed. by Adriana Destro, Mauro Pesce, Paris, Louvain, 2004, გვ. 1-12.

Nino Mindadze

## On One of the Traditions related to Illness

(According to Ethnographic Data of Khevsureti)

### Summary

Illness played significant role in the history of various peoples, in the process of formation and development of culture. On the other hand, culture itself influenced illness; the traditions related to it and provided the peculiarities of rites. All religious systems viewed disease as the category of evil and a negative event, and blamed evil spirits for it.

Beginning from the ancient civilisations until nowadays, one of the main causes of the outbreaks of the disease were related to the kind forces of the universe - God, divinities, saints (sometimes), who took care of the well being of the people and also acted as judges. Disease acquired function of social control and in many cases it was

regarded as a sanction or punishment for the sins which were conducted by people for various reasons. This opinion was widespread in Georgia.

In Khevsureti, one of the mountainous regions of Georgia, locals thought the disease was caused due to the anger of the sanctuary and its punishment. According to local residents, the anger of the sanctuary was caused by: a false oath (a lie during the oath), the pride that caused the crime, disobedience to the rules and laws of the sanctuary. To atone for the crime, to complete the punishment and to cure the disease, the patient or his / her lord made a vow; he / she took responsibility, which meant sacrificing prayer during the holiday or doing some work for the sanctuary. Interpolation of repentance, motives of pride and some other elements can be considered as the influence of Christianity. In my opinion, we have a case of giving a vow similar to Christian tradition, which corresponds to the local Khevsur traditional lifestyle.

Most cases, where the cause of the disease was not obvious, Khevsurs considered as a result of the wrath of the deity. However, a person who violated traditional religious laws, regardless of his / her personality, could be affected by a sense of sinfulness; therefore, the realization that he / she committed a sin could be caused by an illness, mainly a mental illness, which was truly cured through repentance and confession of sins.